ბ. 32° 275.

343
2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი ძმაბავი

უმაწვილების საკითხავი

ფრანგულიდამ გადმოდებული

ანასტასია თუმანიშვილის-მიერ.

ტფილისი.

ბეჭდა გრ. ჩარკვიანისა. | Типографія Гр. Чарквіани.

ხუთი ამბავი

ემაწვილების საკითხავი

ფრანგულიდამ გადმოდებული

ანასტასია თუმანიშვილის მიერ.

ტფილისი

სტამბა გრ. ჩარკვიანისა. || Типографія Гр. Чаркваіани.

46 ج. (17×11) 1 ج. 153.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Fs 2044

Дозволено Цензурою Тифлисъ, 5-го Апрѣля 1888 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭვაჭი

ერთმა შეძლებულმა კაცმა გამოართვა ღარიბ სოფლელს ათი წლის პატარა ბიჭი ცხვრის მოსავლელად. ყმაწვილის დედ-მამა ძალიან ღარიბი იყო, იმავე ხეობაში იდგა, სადაც აბარებდა თავის შვილს და უნდოდა პატარა პეტრუა მოჯამაგირობაში შესჩვეოდა საქონლის მოვლას. ხშირად ნახავდით რომ ფეხ-შიშველა პატარა პეტრუა საღამოობით მოერეკებოდა მინდვრიდამ ცხვარს. სწორედ სამი თავის-ტოლა კომბალი ეჭირა ხელში და გვერდს მოსდევდა გაბურძგნული და ბრაზიანი ქოფაკი ძაღლი.

პატარა პეტრუა არც ზარმაცი იყო, არც ცუდი ბიჭი და თავის საქმეს ბეჯითად ეკიდებოდა, მაგრამ ერთხელ ამხანაგებში გაერთო, თავის ფარას ყური არ უგდო და ცხვარს მოაძოვინა სხვის ყანა. ამისათვის ბატონი თავისი ბოხის ხმით ძალიან გაუწყრა და მუჯლუგუნის ცემით მშიერი გააგდო დასაძინებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრუამ ბევრი იტირა და ივაგლახა. მერე მიიმალა საბძელში, კარგა ხანს ისრისა მუშტით თვალები და ბევრის ნაღვლისა და ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა, უნდა გავიქცე, მეტი ღონე არ არისო...

არც იმას მიხედა, რომ თითონ იყო დამნაშავე, აღარც ის მოაგონდა, თუ როგორ ეწყინებოდა დედ-მამას, როცა გაიგებდენ, რომ ამათი შვილი გამოპარულა. ნახა თუ არა, რომ ყველა თავის საქმეს ადგია, შეიპარა ფეხ-აკრეფით სახლში, ჩააწყო თოფრაკში თავისი ბარგი, შიგ ჩადო შავი პურის ნატეხი, აიღო კომბალი, ქალამნები და გამოვიდა ისე ჩუმადვე, რომ ვერავინა ნახა. ეზოდან გადახტა ბოსტნის ღობეზედ და უკანაც აღარ მოუხედნია, ისე გაუდგა გზას.

მზე ჩასული იყო, სოფელს ბინდი მთლად მოჰფენოდა; გარკვევით აღარა ჩნდა-რა, გზასა და მინდერებს კი კაცი კიდევ გაიგნებდა. პეტრუა მიდიოდა და თან ფიქრობდა: მეორე სოფელი შორს აღარ არი, სანამ ღამე დადგება მივალ, ღამეს გავათენებ ვისთანმე, დერეფანში და საბძელში ყველა შემიშვებს. ხვალ დილით კი ისევ გავუდგები გზას და მალე მივალ შინ. ემაწვილი ამას ფიქრობდა და თან ფეხს უჩქარებდა.

ჯერ სოფელს არ გაშორებოდა, რომ უეცრად მოესმა ვიღაცაც ბოხი ხმა. ეს ხმა ბრძანებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვიროდა: „დააბრუნეთ! დააბრუნეთ!“ პატარა მეცხვარემ თავი მაღლა აიღო: ხან აქეთ მიიხედა, ხან იქით და ვერავინ დაინახა. „ნეტავი ვინა ყვირის? სთქვა ხმა მაღლა პეტრუამ.

პასუხი არავისგან მიიღო. „იქნება ისე მომესმა!“ იფიქრა ყმაწვილმა, მოისრისა თვალები, დააცქერდა გზას და ფეხი უფრო კიდევ აუჩქარა.

პატარა რომ გაიარა, კიდევ მოესმა ხმა უკანიდამ, ეხლა კი ისე ახლოს, თითქოს ყურში ვილაც ჩაჰკივისო: „დააბრუნეთ! დააბრუნეთ!“

პატარა პეტრუა შესდგა; მობრუნდა, მაგრამ ვერც არავინ ეხლა დაინახა. ახლო-მახლოს არა მოჩანდარა—არც ხე, არც ბუჩქი, არც რაიმე შენობა, რომ კაცი იმას ამოჰფარებოდა. ბარშემო მხოლოდ ტრიალი მინდორი იყო. საწყალი ბავშვი კანკალმა აიტანა, თუმცა პატარა მეცხვარე მშიშარა სულაც არ იყო; ხშირად საღამოთი და უფრო გვიან ღამითაც გაუვლია მინდვრები და არაფრისა არ შეჰშინებია. ეხლა რაღა დაემართა? ამაღამის საქმე სულ სხვა იყო, აღელვებულს და აღშფოთებულს ბავშვს თავის დანაშაულობა აწუხებდა და შიშის ზარმა აიტანა. ერთ ადგილას გაჩერდა, პირში ნერწყვი გაუშრა, ხმის ამოღებას ველარ ახერხებდა, არ იცოდა რა ექნა, წინ წასულიყო, თუ ისევ უკან დაბრუნებულიყო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი კიდევ, მესამედ, ეხლა ზედ თავზედ მოესმა საზარელი ხმა, ისე გაურკვევლად კი, თითქოს შორიდამ უბრძანებდენ ვისმეს: „დააბრუნეთ! დააბრუნეთ!“

ხმა თითქოს ციდამ ჩამოდისო!..

პეტრუა სრულიად შიშმა აიტანა, გონება დაჰკარგა, ხელიდამ დაჰსცვივდა თოფრაკიც, კომბალიც, ქალამნებიც, პირიუკან იბრუნა და რაც კი ძალა და ღონე ჰქონდა, მოჰკურცხლა შინისაკენ, დაღალულ-დაქანცული, გულ-ამოვარდნილი ქაქანით მივარდა პატრონის სახლში და აქ კი ერთ წამს შეისვენა. სახლში სინათლე რომ დაინახა, გული დაუმშვიდდა. შეხ-აკრეფით შევიდა ეზოში, მორიდებით, რომ არავის დაენახა კედელ-კედელ შეიპარა საბძელში და იქ თივაში ჩაწვა.

აბა რაღა დააძინებდა იმ ღამეს? შიშმა ყველაფერი დაავიწყა და ძილიც გაუფთხო, ის უცნაური ძახილი გაესმოდა ყურებში, სულ იმის ფიქრში იყო და ვერ მიმხვდარიყო საიდამ, ან ვისი უნდა ყოფილიყო ეს ხმა.

ირაჟრაჟა თუ არა, ბავშვი, ცოტა არ იყოს დამშვიდებული წინა ღამეში გამოვლილ შიშისა და ელდისაგან და დღის შუქით გათამამებული, გამოვიდა უჩუმრად სახლიდამ და გასწია ბარგის მოსაძებნელად, რომელიც წინა ღამეს დაფანტა შიშისაგან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიდანვე თვალი მოჰკრა თოფრაკს და გაიქცა ასაღებად. მივიდა თუ არა ახლოს, დაინახა ვეება ჭრელი კაჭკაჭი, რომელსაც თოფრაკის პირში ეპოვა პურის ნატეხი და ლაზათიანად შეექცეოდა. პეტრუამ ის იყო ქვას დაავლო ხელი, რომ ურცხვმა კაჭკაჭმა ფრთა-ფრთას შემოჰკრა, გაიხარხარა, თითქოს დასცინისო და ბოხის ხმით კიდეც დასჩხაველა: „دااببرუნ ეთო!“



ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრუას მაშინვე ენიშნა ეს ხმა...

ერთ წამს გაჩერდა გაოცებული პეტრუა და პირ-დაღებული იდგა; შეშინებით კი არ შესშინებია, რადგან ღღე იყო, მაგრამ ძალიან დააფიქრა კი ამ ამბავმა.

როდესაც კაჭკაჭი სრულებით მიიმალა, გაჰქრა, ყმაწვილმა საჩქაროდ აჰკრიფა თავისი თოფრაკი, ქალამნები, კომბალი და გამოიქცა შინისაკენ.

მივიდა თუ არა შინ, სწრაფად გააღო ფარეხი, გაირეკა წინ ცხვრები და ამას იქით ისე ბეჯითად, კარგად უელიდა ცხვრებს, რომ არც კი არაეინ დაიჯერებდა რომ პეტრუას გაპარვა სდომებია.

პეტრუას კაჭკაჭის ამბავი სულ თვალ-წინ ედგა და მოსვენებას არ აძლევდა, სინამ კარგა ხნის შემდეგ არ უამბო ერთ მოხუცებულ მონადირეს.

— შე სულელო, განა არ იცი, რომ კაჭკაჭმა ლაპარაკი იცის,—სწორედ ისე, როგორათაც თუთიყუშებმა და შენისთანა პატარა მეცხვარეებმა იციან,—დაუფიქრებლად, რასაც გაიგონებენ.

— მერე და სწორედ მაგ სიტყვას კაჭკაჭს ვინ ასწავლიდა?

— ისევ შენისთანები ასწავლიდნენ. წამ.დაუწუმ რომ ძაღლებს უყვირით, როცა ცხვრები გაგეფანტებათ: „დააბრუნეთ, დააბრუნეთო,“ და ღღეში ათასჯერ გაიძახით მაგ სიტყვას, განა კაჭკაჭი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ დაისწავლის? მაგ გვარი ფრინველები ხომ მუდმივ ცხვრებს დასტრიალებენ, რომ რა არი მათი შემაწუხარი ბუზი და ტკიპი ნისკარტში იგდონ და გაივსონ თავიანთი გაუმაძღარი ჩინჩახვი.

ოზი გელდი

იძიავ, სანაძლეო ხომ წააგე; აბა, ახლა როდის მიამბობ ოზი გელდის ამბავს; ხომ დიდი ხანია დაპირებული ხარ! ჰკითხა ერთხელ სოფელში, ზამთრის დიდ ღამეს, თორმეტის წლის ნიკამ თავის ბიძას. უმაწვილს გულში ჩაჰყოლოდა დაპირება და კაი დროსაც მოასწრო: ბიძია ლაპარაკის ქეიფზედ იყო.

„შენ ერთის წლისა მაინც იქნებოდი, ჩემო ნიკავ, ჩვენ მხარეს რო ომიანობა ატყდა: თათრებს მუსრს ვავლებდით, მაგრამ ჩვენებიც კი ბლომად ამოჟლიტეს. მე დავესწარ უარსის აღებას და არ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი, რა მანქანებით გადურჩი სიკვდილს, ზარბაზნე-
ბის და თოფების ხმამ სრულიად გამომაყრუა, ყუმ-
ბარები ცხვირ წინ მიელავდა, წვრილი საფანტი
შორიდამ მცემდა სახეში და ნემსებსავით მჩხვლეტ-
და. როგორ ავიღეთ ᲣᲐᲠᲡᲘ, როგორ შევედით ქა-
ლაქში, ამისი აღარა მახსოვსრა, მხოლოდ როდე-
საც ყველაფერი მიწყნარდა და ᲣᲐᲠᲡᲘᲡ ბატონებად
ჩვენ გაეხდით, უეცრად შემოჭენდა შიგ ქალაქში
ერთი მშვენიერი ცხენი ვერცხლით მოჭედილი
უნაგირით. ᲗᲘᲗᲥᲝᲡ თავის მხედარს ეძებდა, აქეთ
და იქით დარბოდა, მერე ბოლოს დაიმედებულსა-
ვით მოუახლოვდა ერთ ხანის ნასახლარს, რომლის
კარ-წინ მე და ჩემი ამხანაგი ვიდექით. ჩვენ მაშინ-
ვე ვტაცეთ ხელი, იმის დაჭერა ძნელი არ იყო:
პატრონს რომ ვერ ხედავდა, თითონვე თავ ჩალუ-
ნული მოგვეცა ხელში. ᲡᲬᲝᲠᲔᲚ ᲘᲛᲕᲘᲐᲗᲘ სანახავი
იყო ეს ცხენი თავისი ოქროს ფერით, ყარყარა ყე-
ლით, მუქი ჭკვიანი თვალებით და მოკლე მოძრა-
ვი ყურებით. ᲘᲛᲘᲡ მშვენიერი მოყვანილობით გაო-
ცებულებმა ორნივემ მოვინდომეთ დასაკუთრება
და ჩვენ გულის პასუხს ერთმანერთს არ ეუმხელ-
დით. მაშინვე აქეთ-იქიდამ მოგვესმა თათრულად
„ოზი გელდი“ რაც ქართულად ნიშნავს „თითონ
მოვიდაო“ და ჩვენც სახელად „ოზი გელდი“ ვუ-
წოდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთის თვის განმავლობაში მე და ჩემი ამხანაგი თავ-მოწონებით ვუველიდით, სულ იმის ლალაობაში ვიყავით და ფიქრშიაც არ ვიტარებდით ერთმანერთისთვის დათმობას, ბოლოს ჩვენ ორნივემ თითქმის ერთ და იგივე დროს გავიტარეთ გუნებაში, წაგვეყვანა თბილისში და გვეთავაზებინა ჩვენის უფროსის ღენარლისათვის. მართლაც აგრე მოვახერხეთ. ღენერალი ჯერ დიდს უარზედ დადგა, არ იღებდა ამისთანა ძვირფას საჩუქარს და როდესაც შეიტყო, რა შემთხვევითაც ჩავიგდეთ ხელში ეს ცხენი, მაშინ დაგვეთანახმა მიეღო ცხენი და დიდად სათუთად ინახავდა. ოზი გელდის მოვლა განსაკუთრებით ჩააბარა თავისთან მცხოვრებს ძმის წულს. ქალაქში რომ გაატარებდენ ამ მშვენიერ ცხენს ძვირფასის ჩულით, ყველას თვალი ზედ რჩებოდა. თუმცა წილად მე არა მხვდა ოზი გელდი, მაინც გულ-მოსვენებით ვიყავ, რადგანაც კარგს ხელში მეგულებოდა.

„ბაიარა ექვსმა თუ შვიდმა თვემ და იმისი ამბავი აღარა ვიცოდირა. ამ დროს მეც გადმოვიყვანეს თბილისს. თურმე ქალაქში დოღს (მარულას) ხშირად მმართავდენ და რომელი ცხენიც გაიმარჯვებდა ჭენებაში ჯილდოს იღებდა. ღენერლის ძმის წულს მოეფიქრებინა ოზი გელდის დოღში გაყვანა. ოარი თვე სწურთვნიდა ცხენს, ხშირად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყვანდათ დიდუბის მინდორზედ, სადაც დოღი იყო დანიშნული.

„ნოემბრის ერთს მშვენიერს და მზიანს დღეს დიდუბეში გაიკრიფა უთვალავი ხალხი, ფეხით და ეტლებით, ქალი თუ კაცი, დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, მინდორში უშველებელი ადგილი თოკით რკლად შემოვლული იყო, თოკის შიგნითი ადგილი მოეკრიალებინათ; ბაირაღები ერჭო იქ, საიდამაც უნდა დაწყობილიყო ჯირითი. რომელი ცხენიც სამჯერ გარს შემოუვლიდა ამ თოკის რკალს და ყველაზედ ადრე მივიდოდა ნიშანთან, ის მიიღებდა პირველ ჯილდოს. თოკის გარს იდგა ფეხით თუ ეტლებით დიდ ძალი ხალხი; გარდა ამისა ხალხის საყურებლად საკუთრივ ამ დღისთვის ფიცრის დიდი შენობა იყო გაკეთებული და ფასს არავინ ზოგავდა ადგილის საშოვნელად. პატრონზედ ნაკლებად მე არ ამიფანცქალდა გული, როდესაც შევნიშნე სარბიელზედ ოზი გელდი; ზედ იჯდა ყაზანის პატარა თათარი პირისფერი პერანგით. სხვა ცხენებიც ბლომად იყვნენ დაკაზმულ-გამზადებულნი, მეტადრე შესანიშნავი იყო იმათში ერთი გიშერა, რომელიც სიშავით ეჯიბრებოდა ზედ მჯდომ პატარა არაბს. ცხენები მოუთმენლობისაგან ჭიხვინებდენ და მიწას სთხრიდენ, ზედ მჯდომნი ძლივს თავს უჭერდენ. ოზი გელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი სხვებზედ უფრო დინჯად გამოიყურებოდა, მხოლოდ პატარა ყურების მოძრაობაზედ შეატყობდი მოუსვენრობას, დრთვინვას. მის ოქროს ბალანს მზეზედ ბზინვა გაჰქონდა. დაჰკრეს ზურნა-ნაღარა და ცხენების პირველი რიგი დაიძრა. დაუკრა სამხედრო მუსიკამ და ყველამ სარბიელს მიაპყრა თვალი. თათრების ცხენები, ორნი, თუ სამნი წინ წავიდნენ, გიშერა და ოზი გელდი კი პირველში ცოტად უკან ჩამორჩნენ. ბული მიკანკალებდა, თვალი არ დამიხამხამებია.

„ნუ თუ ჩემი ოზი გელდი არ გაიმარჯვებს მეთქი?“

აი, მეორედაც შემოურბინეს სარბიელს, მაყურებლებთან და თან უფრო ხალისი მიეცათ. ახლა კი თათრების ცხენები უკან ჩამორჩნენ და ხალხში ყვირილი მოისმა: „წინანი უკანაო.“

„ოზი გელდი და გიშერა დაწინაურდნენ.

„—შენი სულისა, გაასწარ მაგასაც, რაღა! უყვირიან კინტოები გამარჯვებაში გამოცდილს გიშერას.“

„ცნობის მოყვარულობისაგან გატაცებული ხალხი მიაწვა ფიცრის შენობას, მოისმა ფიცრის ჭრაჭუნი, ქალებმა წივილ-კივილი შეჰქნეს: „თუ ღმერთი გწამთ ნელა, იატაკი ჩატყდება.“ პოლიკიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები ხელებს პარჭყვენ და ხალხს წინ არ უშვებენ, მაგრამ ხალხს ვინ შეიმაგრებს, მიჭყლეტილი შლაპები ჰაერში ტრიალებს... თავ-აღებული ოზი გელდი მიფრინავს, ხალხის ქრიამული, მუსიკის ხმა და ეს ვრცელი მინდორი აგონებს იმას ყარსის აღების დროს ბრძოლის მინდორს და ცდილობს ეხლა მაინც არ დაჰკარგოს თავისი მხედარი. აი, კიდევ ორიოდ წამი და ოზი გელდიმ გაიმარჯვა!

—აი, ბარაქალა! ბაუმარჯოს ოზი გელდის! შეჰყვირა გატაცებით ნიკამ და სიხარულით ჩამოეკიდა თავის ბიძიას კისერზედ.

ლაპარაკში გართული ბიძია ერთ წამს შეჩერდა და მერე ისევ განაგრძო:

„პირველი ჯილდო ოზი-გელდის დარჩა. თავმოწონებული პატრონი ყვავილებით შემკულს გამარჯვებულ ცხენს ქუჩა ქუჩა ატარებდა, რამდენიმე დღე მთელი ქალაქი იმის ქება-დიდებას ლაპარაკობდა და არა ერთმა შეაძლია პატრონს დიდი ფასი. ამის შემდეგ ოზი გელდიმ კიდევ ორჯერ, თუ სამჯერ, მიიღო პირველი ჯილდო, მაგრამ ერთხელ კი ნიშანთან მიხწეულმა წაიბორძიკა და ფეხი ილრძო. ამ დღიდამ დასრულდა ოზი გელდის მეფობა. ღენერალმა არ იკადრა გაყიდვა და უთავაზა ერთ მოხუცებულს ნათესავს ქალს, ეტლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხენის მეცალედ. ოზი გელდის დღე გამოშვებით აბამდენ ეტლში და როდესაც ახალი პატრონი გაიერონებდა დიდუბისაკენ, ოზი გელდი ყურებს იცქვეტდა, ნაცნობ ადგილისაკენ გაიწევდა, ჭიხვინს ასტეხდა, თითქოს გაახსენდა, რა პატივითაც წინედ ბრუნდებოდა აქედამ.

„მოხუცებული წლის თავზედ გარდიცვალა", მემკვიდრეებმა სხვა ქონებათა შორის ოზი გელდიც გაჰყიდეს. სხვა ქალაქიდამ ჩამოსულს მეეტლეს ეყიდნა.

„ხუთი წლის განმავლობაში ოზი გელდის ამბავი აღარა გამიგონია-რა.

„ერთხელ მგზავრად მივდიოდი რკინის გზით და იქ ყური მოვკარ ლაპარაკს. ერთი კაცი უამბობდა თავის მეგობარს, თუ როგორ გამდიდრდა მეეტლე პიკოლაო, ეხლა აღარც კი კადრულობსო ადრინდელ ნაცნობებს და ამ სიტყვებით დაამბოლოვა:

„—პიკოლას ბედმა იმ დღიდამ იმუშავა, როდესაც თბილისში იაფად ჩაიგდო ცხენები—ვიღასიც ნამკვდრეები. ცხენები კაი ჯიშისა გამოდგნენ, და დიდს ჯაფას და მუშაობას იტანდნენ მეტადრე ერთი ცხენი ძლიერ გამოადგა: თუმცა კოჭლობდა, მაგრამ წინედ ქალაქში თურმე განთქმული ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაგონის კუთხეში ვიჯექ და მთელემდა. ეს გავიგონე თუ არა, საჩქაროდ წამოვხტი და შევყვირე: სახელი, სახელი მითხარი, მეთქი! მოამბემ გაოცებით შემომხედა, გიჟი ეგონე და დაწყნარებით მითხრა:

„—რასა ბრძანებთ, ვის სახელს კითხულობთ?“

„ეს კოჭლ ცხენს რა ერქვა? ჩავეკითხე აღელვებულმა და იმედი მომეცა ოზი გელდის კვალის მიგნებისა.

„—რაღაც თათრულ სახელს ეძახდენ, ეხლა ვერ მომიგონია.

„ოზი გელდი ხომ არა? ვიკითხე სიხარულიდ.

„—მგონია, სწორედ ეგ სახელი ერქვა.

„მითხარ ჩქარა ძიკოლას ბინა! უნდა ჩემი ოზი გელდი ვიპოვო!

„—ერიჰა! წელიწადზედ მეტიც იქნება, რომ ის ცხენი გაჰყიდა. თუმცა პატრონი ცხენმა კაი ბედს სწია, მაგრამ ძლიერ ნაჯაფარეები ჰყვანდა და რომ არ შემოჰკდომოდა, თავიდამ მოშორება არჩია და სამ თუმნად ვილაც აგურის მზიდველს მიჰყიდა.“

„ნაღვლიანად თავი ჩავკიდე, ჩემო ნიკავ, და გულში გადვიწყვიტე უეჭველად მიმეგნო ოზი გელდისათვის და სიბერის დროს მწარე ჯაფას გადამერჩინა.

FS 2044

F343

ებრ დაკრჩენია აგურის მზიდველი, რომ არ მეკითხოს. დავინახავდი თუ არა, რომ აგური მოაქვთ, თვალს დავაშტერებდი ცხენს, კოჭლი ან ოქროს ფერი ხომ არ არი მეთქი.

„ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით, მივაგენ კვალსა; ერთმა აგურის მზიდველმა მითხრა, რომ მართალია ჭიკოლისაგან ვიყიდე მე კოჭლი ცხენი, მაგრამ ცხენი ისე ალახლახებდა პოეოსკას, რომ აგურს სულ მიმსხვრევდა და ნურაშის სოფლის მედუქნეს მივყიდეო. იქვე სხვებმა დაუმატეს, რომ ადრე ხშირად ვხედავდით ჩასუქებულს და წითურს მედუქნეს, ან იმის მოჯამაგირეს, რომელთაც აჰქონდათ იმ ცხენით სოფელში საპალნით ღვინოებიო.

„ველარ მოვისვენე, საბრალო ოზი გელდი მინდოდა უეჭველად ხელში ჩამეგდო. ჩემ შინაურ საქმეებს თავი დავანებე და გავწიე მედუქნის საპოვნელად.

„მივადექ სოფლის დუქანს. ქათათვე იყო. პაპანება მზე იდგა. მედუქნემ, შეიტყო თუ არა რისთვისაც მივადეგ კარსა, ერთი სხვა ნაირად გადმოშხედა და გადიხარხარა.

„—ოჭლი ცხენი კი, მართალია, მყავდა; მაგრამ ოქროს ფერისა კი რა მოგახსენოო. აი, წამობძანდით, გიჩვენებთ და თქვენ იცნინთ. მე ალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას მარკებდა ის ცხენი და შარშან ერთს ჩვენ სო-
ფლელს პურში გავუცვალე და ეხლა კალოში
უბიათ.

„ბამიძღვა წინ, მიეედით კალოზედ. იქ გაც-
ხარებული მუშაობა იყო, ემურებოდენ კაი დღეებს
და დიდი და პატარა საქმეს ადგა. პატარა გოგო-
ები ლრეჭით და კევის ღეჭით კევრებზედ უსხდნენ.
სხვათა შორის ერთი ცხენი ატარებდა კევრს. ნუ
რა თვალმა ნუ ნახოს, რა ყოფაშიაც მე ეს ცხენი
ენახე. სიგამხდრით ორივ თეძოები ამოსცვივნოდა,
ფერი თეთრად ასჭრელებოდა, ძალზედ კოჭლობდა
და თავ-ჩაქინდრული უვლიდა კალოს გარს. რასა-
კვირველია, აღარაფერი აღარ უგვანდა იმ ჩემ ოზი
გელდის, თუ რომ არ დამენახა იმის დაღი. მხო-
ლოდ ამ ნიშანზედ ვიცან და შევეყვირე: ოზი გელ-
დი! სოფლელებმა გაკვირვებით შემოსმხედეს. მე
ზედი-ზედ ორჯერ კიდევ დავუძახე. აღრინდელი
სახელის ხსენებაზედ ცხენი გამოფხიზლდა, ყურე-
ბი აცქვიტა, წაიხვიხვინა და ისევ ფეხ აჩქარებით
დაიწყო კალოზე ტრიალი, თითქოს დიდუბის მინ-
დორშიაო და ეს არის ჯილდო უნდა მიიღოსო.
საეჭვო ჩემთვის აღარ იყო, რომ ამ უკიდურეს
მდგომარეობაში ჩავარდნილი ნამდვილ ოზი გელდი
იყო. თვალ-ცრემლიანი მივარდი ცხენს, გავაჩერე
და თვალებში დაუწყე კოცნა. იმანაც თავისი ჭკვია-
ნი თვალები დამაშტერა და დამიწყო ლოკვა. ხალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი მომეხვია და მკითხავდა ამბავს. რასაკვირველია სიხარულიდ დამითმეს ოზი გელდი, რადგან ერთიორად ფასი მიეეცი. წამოვიყვანე სოფელში, თითქმის ჩემი ხელით ეუველიდი, შენც ხომ დამსწრე იყავ რა პატივში მყავდა, მაგრამ იმისი ნაზი და მშვენიერი აგებულება უდროოდ გეეტეხნა უდიერს ჯაფას, იმის გამობრუნება შეუძლებელი შეიქნა. ოარ თვეზედ ოზი გელდიმ შენი ჭირი წაიღო.

„ესეც შენი ოზი გელდის ამბავი“ უთხრა დასასრულ ბიძამ თავის ძმისწულსა.

წამწყმინდა წახედულოგამა.

ყო მეჯღანე ზაქარა, რომელსაც ერთი დიდი ნაღველი აწუხებდა.

ნუ კი გეგონებათ, ვითომც მუშტარი ჰკლებოდეს იმის დუქანს!

ყოველთვის, როდესაც მუშტარი შეეიდოდა დუქანში (მუშტარი კი, ღვთის წინაშე, ბლოომად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედიოდა) ზაქარა მეჯღანე თითით ანიშნებდა დაბ-
გის ზემოდამ ჩამოკიდებულს ნახატს. ნახატზედ გა-
მოსახული იყო ლომი, რომელიც კბილებით ეჭი-
დებოდა ჩექმასა. „ხომ ხედავთ ლომსა და ჩექმას,
ეტყოდა ზაქარა,—შეიძლება ლომმა ჩექმა დახიოს,
მაგრამ ვერ კი დაარღვევს; ასეთია ყველა ჩემის ხე-
ლის ნაწარმოები.

Mითქოს ყველას სჯეროდა იმისი სიტყვა; ამი-
ტომ რომ, მეჯღანეს დაკვალად, ზაქარა კაი ფულს
იგებდა.

Sწორედ დუქნის პირდაპირ იდგა ერთი შემ-
ძლებელი კაცი, რომელსაც ჰყვანდა მაიმუნი და ეს
მაიმუნი საბრალო ზაქარას დღეებს უმწარებდა.
Jერ ერთი, რომ ყველაფერში ბაძავდა და აჯავრებ-
და, როგორც ჩვეულებად სჭირთ ამ საძაგლებს.

როდესაც ზაქარა დაიწყებდა თავის იარაღის ლეს-
ვას, მაიმუნიც მაშინვე აიღებდა ქვის ნამტვრევებს და
მოჰყვებოდა ვითომ და ლესვას; თუ ზაქარა დაი-
წყებდა ძაფის გასანთელას ფეხ-საცმელის შეკერვი-
სათვის, მაიმუნიც გამოჯავრებით აიღებდა ძაფსა და
თითქოს სჭიმავდა. როდესაც მეჯღანე უკეთებდა
ფეხსაცმელებს ახალ საპირეს, ან ამზადებდა ახალ
ძირებს, მაიმუნიც ერთი დიდი ხმაურობით, მითომ
და ჩაქუჩს არტყავს, მოჰყვებოდა ორივე ინდაყვე-
ბით თამაშობას, თან გრეხით და პრანჭვით თავის
პატარა თვალების კაკლებს ატრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ამბავს ზაქარა მოთმინებიდამ გამოჰყვანდა.

შარიდამ გამოჯავრებას კიდევ როგორც იქნებოდა გაუძლებდა, მაგრამ მეჯღანე დაანებებდა თავს თუ არა თავის დუქანს და წავიდოდა ან პურის საჭმელად, ან მუშტართან, მაიმუნი მაშინვე, კარგა ცნობილი გზით, გამოსწევდა დუქნისკენ, გააღებდა ფანჯარას, ან გაძვრებოდა ჩარჩოში, რომელსაც ქაღალდი ეკრა, მინის მაგივრად; მერე დაბინავდებოდა შიგ დუქანში, მოჰყიებოდა ჩაქუჩით ტყავის ჩეჩკას, დაჰკუწავდა გაზით, დასჭრიდა დანით და ლუკმა-ლუკმათ აქცევდა, ვითომ და ზაქარასა ვბაძავო.

საბრალო ხელოსანი ვერც საჭმელ-სასმელად წავიდოდა და ვერც სადმე ფეხს გადასდგამდა იმის შიშით, სანამ ტყავს სადმე არ მიმალავდა.

და თუ დაივიწყებდა, ვაი იმის ბრალი. მაიმუნი სულ ლუკმა-ლუკმა დაუკუწავდა მასალას.

„აი შე საძაგელო, დაუყვირებდა ხოლმე მეჯღანე ზაქარა,—აბა, ერთი კიდევ მოდი და მე შენ გაჩვენებ სეირსა.“

და ქუჩის იქით მყოფს მაიმუნს მოუღერებდა მუშტს. მაიმუნიც მაშინვე გამოჯავრებით იქიდამ მუშტს უჩვენებდა. ზაქარა საჩივარს ვერ ბედავდა, რადგან მაიმუნის პატრონი ამისი კაი მუშტარი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ, როდესაც მაიმუნმა თავის ებურად დუქანში ბევრ ფეხსაცმელს ძირები დაუკუწა, მეჯღანეს ერთმა აზრმა გაუარა თავში. დაუწყო თავის ირიბ დანას ისეთი ლესვა, რომ ბოლოს ეს დანა სწორედ სამართებელსავით სჭრიდა. მერე რაკი ნახა, რომ მაიმუნი თვალს ადევნებს, მიიდო დანა ყელთან, გაისვა-და-გამოისვა, თითქო ყელს იჭრისო. ძარგა ხანს ივარჯიშა ასე და როდესაც ნახა, რომ მაიმუნი თვალს არ აშორებდა და მის მოქმედებას იხსომებდა, ფანჯარა ღია გაუშვა, დანაც ზემოდამ დასდო და დუქნიდამ გავიდა.

მაიმუნი მაშინვე ეცა დუქანს და რადგანაც ნათვალთვალები მეჯღანეს ვარჯიშობა გასართობი ეგონა, სტაცა ხელი გალესილ დანას და მეჯღანესავით ყელთან მიიტანა და გაისვ-გამოისვა.

დანა ძალიან გალესილი იყო და ბედ-კრულმა პირუტყვმა ყელი გამოიჭრა. მხოლოდ ამითი მოიშორა ზაქარამ თავისი დაუძინებელი მტერი და მაზარალებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოგოლი ქალის დედოფალი.

ვა წლისა ვიქნებოდი, როდესაც დედით და მამით დავობლდი. ბიძა ჩემი სვიმონი მოვიდა ჩემ წასაყვანად თავის სახლში, შემისვა ცხენზედ და შევუდექით კარგა გრძელ გზას. ბიძა ჩემი მაუდის ვაჭარი გახლდათ და სცხოვრობდა ერთს დაბაში, მდინარის პირზედ. ამის მეტად მგზავრობა არ გამომეცადნა, მაგრამ მაინც გზამ თავი არ მომაბეზრა. მჯერდა გულ-წრფელად, რომ ბიძა ჩემ სვიმონთან ყოველთვის კმაყოფილი ვიქნებოდი.

ბიძა ჩემი ძალიან კარგი კაცი იყო და ამასთან დიდი ხუმარა, მაგრამ საშინლად დაუდევნელი. არც ძალუა ჩემი იყო ბოროტი, თუმცა ანჩხლი და გულ-ცივი შეხედულობა ჰქონდა. ჩემი უფროსი ბიძაშვილი ბაბო ჩუმი და სწორედ კაი რამ იყო; სახით არ ვარგოდა, ავადმყოფობდა კიდეც, მაგრამ მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, თავისი ავადმყოფობით არავის აწუხებდა და ცდილობდა ყველასათვის ესიამოვნებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ბიძაშვილმა კი, უმცროსმა და ლამაზ-
მა ქატომ, ბევრი მწარე დღეები მიჩვენა. ჯერ კი-
დევ პატარა, მხიარული, ანცი და მოუსვენარი ხა-
სიათისა, ქატო კარგა შეელოდა თავის მამას დუ-
ქანში. შუშტრები, რასაკვირველია, უქებდნენ დედ-
მამას ამგვარ შვილს. ქატო განუბიერებული და გა-
თამამებული იყო ოჯახში და, როგორც ყოველ-
თვის თამამ ბავშვს, სიშურეც ჩაუვარდა გულში.
თუ ვინმე მეტყოდა მე, საწყალ ობოლს, ორიოდ
ტკბილ სიტყვას, მაშინვე ქატოს აეტკრიცებოდა
ლოყები, ტუჩების ცეუცვნას დაიწყებდა და სწრა-
ფად თავის ქერა წამწამს აიწევდა თავის მწვანე
თვალების გადმოსაბღვერლად. ეი იმის ბრალი,
რომელი კაციც მე იმას მიმეზგავსებდა სახით.

— თიკა მე მგავს! წამოიძახებდა თავ-მომწონე
ქატო გაბრაზებული.—ვერა ხედავთ; მაგას პირი
კეცსავით გადატყაპნული აქვს და კბილებიც აკლია?

— რა ვუყოთ, რვა წლის ყმაწვილი კბილებს
მოიცვლის! თავის ხანობის და კვალად კაი გოგო-
ნაა. დაიცა გაიზარდოს! ეუბნებოდენ ქატოს.

— ვნახავთ, ყველა უხეირო ბალახი მალე იზ-
დება.

და ამ გვარი ლაპარაკი ძალიან ხშირი იყო.
ოჯახში ისე არა დაშავდებოდა-რა, რომ ჩემთვის
არ დაებრალბინათ, არც ერთი ჯამი, არც ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტრა ისე არ გატყდებოდა, რომ ჩემ ლამაზ ბიძაშვილს არ წამოეძახა: „უეჭველია Oიკა გასტეხდა, ეგ იმის საქმე იქნება! ყველაფერში უშნოა და ხელმანკიანი.

ბაბო ხშირად გამომეპარჩლებოდა ხოლმე, მაგრამ იმ საწყალს ვინ დაუვდებდა ყურს? ძატოსთვის კი საკმაო იყო დაეძრა თავისი ალისფერი ტუჩები ჩემს წინააღმდეგ, რომ ენება მოეყენებინა... ბიძა ჩემი და ძალუა ჩემი დაბრმავებულნი იყვნენ თავიანთ გათამამებულ ბავშვით და უსამართლოდ მეკიდებოდენ მე, რომელსაც მამაშვილური სიყვარული აღმითქვეს.

მიმაბარეს სასწავლებელში, მაგრამ ძატომ აქაც არ დააყენა თავისი ენა: „დრო გადასვლიაო, სწავლა ეძნელებაო.“ უნდოდა ჩემთვის ემტრო, მაგრამ საქმე ბოლოს ჩემ საკეთილოდ დატრიალდა. ამისთანა ალაგას დუქნის ვაჭრობით, შემოსავალი რას გაგეწვდებოდა, თუ რომ არა გექონოდა ვენახი და სახნავ-სათესი მამული დაბის სხვა და სხვა მხარეზედ. ხშირად მგზავნიდნენ წვანილის და ხილის დასაკრეფად, თანაც თხა მყვანდა ჩაბარებული და უნდა მინდორში მეძოებინა. აბა, კიდეც მაშინ ვიყავ ბედნიერი, როდესაც არა ვხედავდი ძატოს ქერა ხუჭუჭ თმას, რომელიც ნათლად ერჩეოდა გაკომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილ სამზარეულოს კედლებზედ და სრულ მხია-
რულებას მივეცემოდი ხოლმე, გავიდოდი თუ არა
ბიძა ჩემის მინდორში, საცა გველივით მიიკლაკნე-
ბოდა მოჩხრიალე ნაკადული. თხას მივაბამდი თუ-
თის ხეზედ, გავწვებოდი ბალახზედ და მეგონა, რომ
კოლო ბუზები და პატარა ჭია-ღუები, ჰაერში ბზუი-
ლით მფრინავნი და ძირს ბალახში მოჭრიჭინენი,
მიამბობდენ თავიანთ ნაღველს და ისმენენ ჩემ
უბედურებასაც. მინდერის ბოლოზედ ნაკადულის
ერთი ტოტი ისე მდორედ მიდიოდა, რომ ჭაობსა
გვანდა. იქვე კლდიან ყორეზედ ამოსულიყო ბუ-
ჩქები და ძირს ჭაობთან ადგილს მწვანე ხავერდის
მსგავსი ბალახი მოჰფენოდა. ცოტა მოშორებით
დაბლა მიჩუხჩუხებდა მდინარე, რომლის წყალი ისე
ანკარა იყო, რომ შიგ ქვები დაითვლებოდა. აი,
ეს ადგილი საშინლად გვიყვარდა მეცა და ჩემ თხა-
საც. ბევრი დრო გამიტარებია კლდეზედ დაბჯენი-
ლი, ძველი ვაშლის ხის ძირას, ღელეს ყურებაში,
საიდამაც ტირიფებ შორის მოჩანდა გველივით და-
კლაკნული მდინარე, რომელიც თითქოს ალერსი-
ანად ნანას მეუბნებოდა და მამხნევებდა. ამგვარმა
ცხოვრებამ შემაყვარა მარტოობა. მშვენიერი ბუ-
ნება ყოველთვის სასურველია ნაღვლიან ადამიანი-
სთვის და მე არ ვიმხნევდი მარტოობის სიმწარეს.
ამ ადგილას ჩემ თავს სრულიად თავისუფლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგრძნობდი. შიშით ვერ გამემხილა ამ ბუნების მშვენიერება, რომ ეს უკანასკნელი შვების ადგილი არ წაერთმიათ ჩემთვის. ბაბოსთან კი ვერ მოვითმინე და წარმოვთქვი ორიოდ სიტყვა, ის თითონ ვერ შეიძლებდა ასე შორს წამოყოლას და ამიჩინა ერთი ისეთი მეგობარი, რომელიც ყურსაც დამიგდებდა, ყველაფერსაც ნახავდა, მაგრამ თქმით კი ვერავის ვერაფერს ეტყოდა. ყველა ჩვენ მეზობელ ყმაწვილებს ჰყავდათ დედოფლები, მხოლოდ მე არა მყვანდა და ნაღვლიანად ვეკითხებოდი ხოლმე ჩემ თავს: „ნუ თუ თავის დღეში არ მეყოლება დედოფალი, თუნდ უბრალო ნაჭრებისა.“

მე თითონ არ ვიცოდი გაკეთება და ბოლოს ბაბო დამპირდა, მაგრამ მალვით უნდა გაეკეთებინა, თორემ თუ ძატო თვალს მოჰკრავდა, უეჭველია, დედოფალს ფანჯრიდამ გადუძახებდა. ბაბომ იყიდა მეპურესგან ერთი გროშის ქატო, სახლში იშოვა ძალიან სხვილი ტილოს ნაჭერი, გაკეთა ჯერ წელი, მერე თავი, სწორედ ბურთივით რგვალი, ბოლოს ჯოხივით გაფშეკილი ხელები და ფეხები და დიდის გაჭირებით მიაბა წელსა. შავი ძაფით თვალები შეუკერა და წითელით ცხვირ-პირი.

ძველი მწვანე ზოლიანი ჩითის ნაგლეჯიდამ შეუკერეთ კაბა და კუბო-შეკრულ სარფინკის ნაჭრიდამ გაუკეთეთ მოართულობა; ყველაზედ გასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირი ჩვენთვის თმების მობმა იყო, მაგრამ ბოლოს ეგეც მოვახერხეთ; ყველაფერი შევუსრულეთ. ერთის სიტყვით ისეთი დედოფალი იყო ტანით, სახით, რომ არ ჩამოურჩებოდა სხვებს, ისღა აკლდა, რომ სრულიად ჩაებარებინათ ჩემთვის. ერთ საღამოს, როდესაც ბოსელში თხას ვაბინავებდი, ბაბომ ფანჯრიდამ ჩამომძახა რაღაც საიდუმლო ხმით:

— ქი ნურას იტყვი და ჩქარა ამოო, უნდა გითხრა რამე.

„ნეტა რა უნდა მითხრას? ქიდევ ხომ არას მაბრალებენ? იქნება დამსაჯონ რაზედმე!“ ვფიქრობდი მე და გულის ფანცქალით აველ ზემოდ; ბაბო იღიმებოდა და... ფანჯრის კუთხეში, განათებული ჩამავალი მზის შუქით, დედოფალიც იღიმებოდა. ტანისამოსით მორთული ჯერ არ მენახა; ხმა ველარ ამოვიღე, ხელის ხლება ვერ შევბედე და სიხარულისაგან ორი ცრემლი თვალებიდამ გადმოვარდა.

„— აიღე რაღა! მითხრა ბ.ბომ.

მეც მაშინვე ნამდვილი დედობრიული სიყვარულით მივიკარ დედოფალი გულზედ. ღამე დედოფალს ჩემთან ეძინა, საბნის ქვეშ დამალული მყვანდა, შეორე დღესაც მალვით წაეიღე მინდორში. მინდოდა იქ დამებინაებინა და ამითი ამეშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებინა ყოველი შიში, რომ ქატოს შური თვალი არ მიჰკარებოდა; მინდოდა ჩემი დედოფალი სრული ბედნიერი ყოფილიყო. იმ დღესვე ვიფიქრე პატარა სახლის გაკეთება, ე. ი. ვიფიქრე თავშესაფარი გამემართა დედოფლისთვის და შეუდეგ გაკეთებას. ძლდის მახლობლად, მდინარის ტოტში ეყარა ბევრი პტყელი და თხელი ქვები, გაზაფხულის დიდი წყლიანობისაგან გასიპული და ზაფხულის მზისაგან ოქროს ფრად შეღებილი. როგორც შევიძელი ავკრიფე ის ქვები, სამკუთხივ კედელი ავიტანე და ზედ დიდი ქვა ჭერათ დავხურე, რომ არაავის შეენიშნა. ზედ ჭერზედ დავაყარე გამხმარი ბალახი, ეკალი და კერინჩხის ტოტები; ერთის სიტყვით, როცა მდინარეს უალერსებდა უკანასკნელად ჩამავალი მზის წითელი სხივები, მეც მაშინ დავაბინავე ჩემი საყვარელი ახლად აშენებულ სასახლეში.

მეორე ქვით ავუქოლე შესავალი კარი, ასე რომ უცხო თვალი ვერაფერს შენიშნავდა; ღამე მშვიდობისა ვუთხარ ჩემ დედოფალს და დამშვიდებული წამოველ შინ იმ ფიქრით დაიმედებული, რომ ქატო შორს იყო და ამას ვერას ავნებდა. მეორე დღესაც ნახვის სიამოვნებით დავსტკბი, ჩემ სამშობლოში დატოვებული ამხანაგის სახელიც ვუწოდე და დავარქვი: „მათა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან და თან ვამკობდი ჩემ ლამაზ ფერიხს და იმის სადგურს.

ბაბოსაგან მოცემული ნაჭრებიდამ ვუკერამდი სხვა და სხვა მორთულობას და აქა იქ სახლს ქვითა და ბალახითა ვუკოწიწებდი. ჩემ გარდა ძე-ხორციელს არავის მოეკრა თვალი ამ სასახლისათვის.

ერთ საღამოს, ღვინობისთვეში, ბიძა ჩემი დაბრუნდა შინ და გვითხრა, რომ ამაღამ დიდ ავდარს აპირებსო. მთას ისეთი შავი ღრუბელი ჩამოსწოლოდა, რომ ღელე სულ ჩაებნელებინა, მზის ჩამავალი სხივები თეთრად გამოიყურებოდა და ისი ზეტი მერცხალი და ყვავი ერთად დასტრიალებდნენ დაბას და დაეძებდენ თავშესაფარ ადგილს.

— უბედურება რამ მოხდება, ამბობდა ხალხი, ხედავთ როგორ ფრინველები მიაჩქარებენ საზდოს. როდესაც ყვავები ჩხავილს დაიწყებენ, ცუდი ნიშანია.

ჯერ არ დაღამებულიყო, რომ მთელი არემარე სიბნელემ მოიცვა, სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მერე მოისმა საშინელი ქუხილი და ქარის გრიალი; ამ ქარმა თავისი გრიალით გადააჭარბა ქუხილს.

თუმცა არ მეშინოდა, მაინც სამზარეულოში, ცეცხლის პირას, მოვიკუნტე და სულ ჩემ დედო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფალზედ ეფექრობდი. ეხლა წვიმამ რომ წაიღოს ჩემი გაკეთებული სახლი? მეხი რომ დაეცეს? ჩემი „მათა“ რომ დაიხრჩოს? არა, შეუძლებელია! მე ხომ ნამდვილ ციხესავით გავამაგრე ის სახლი!

მთელი ღამე ელვა-ქუხილი არ დამდგარა და კოკურად ასხამდა წვიმასა. მეორე დილას თვალწინ წარმოგვიდგა საშინელი სახილველი. ზემოდ ქედიდამ, საცა აქამდის წყალის ნავალი არ ენახათ, მოჩხრიალებდა ურიცხვი მოყვითანო ნაკადულები. მინდორს მთლად წყალი მოსდებოდა, ზოგან ქვები გამოერიყა, ღობეები და სახლის კედლები გზაზედ გადმოწოლილიყვნენ, ვაზებს ამოგლეჯილს და განადგურებულს ნახავდით.

ადიდებული მდინარე საშიში იყო სანაპიროსათვის და წყალი ხიდის თაღებამდის ასულიყო. ველა მოსიარულე სულიერი უნებლიედ შეჩერდებოდა ხოლმე ხიდზედ შეშინებული ამღვრეულ წყლის დანახვაზედ, რომელიც აღარც კი გვანდა წყალსა. ბავშვები ერთობოდენ და სიცილით უყურებდენ, როგორ მოაქანებდა აღელვებული მდინარე ფესვიანათ მოგლეჯილ ხეებს, ფიცრებს, წისქვილის თვლებს და თვით პირუტყვებსაც. ხალხი თვალს ადევნებდა მდინარის მომატებას, ყველგან საშინელი შლამის სუნი ტრიალებდა. ამისთანა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთო მწუხარებაში მეც ჩემი ნაღველი მაწუხებდა, ვერავისთვის გამემჟღავნებინა. ნეტა რა მოუვიდოდა ჩემ „მათას“ ამ ვაი-ვაგლახში?..

— ეი, Oიკა! დამიყვირა ქატომ, როცა დამინახა რომ სასწავლებლიდამ ვბრუნდებოდი. — მაგ ხიდზედ დროს გატარებას ეჯობინება თხა წაიყვანო მინდორში. ბიძა შენი საქმეზედ წავიდა და შენი იმედი აქვს. აბა, ამისთანა გ:ჭარებაში, რა დროს ობლების აკვიატება იყო!

ეს ყველრება არაფრად შევიმჩნიე, რადგან მე უფრო მეჩქარებოდა ჩემი დედოფლის ნახვა. ისე გავიარე ხიდი, რომ ვერაფერმა ვერ გამაჩერა; ჩემ თხასაკით ვაბიჯებდი გზაზედ ჩამოწოლილ კედლებზედ, ბიძა ჩემის ყანა ნიაღვარისაგან ისე გაფუჭებული არ დამხვდა, როგორც მეგონა. დედოფალის ციხე დარბაზი ისევ ისე იდგა, კლდეს შეემაგრებინა. მაგრამ ავიღე თუ არა შესავალი ქვა, დავინახე ჩემი საბრალო „მათა“ წყალში მოტივტივებული. ნიაღვარს ზემოდამ ეპოვა გზა და რადგან წყალს გამოსავალი არ ჰქონდა, შიგ დაგუბებულიყო. „მათა“ მთლად სველი დამიხვდა და აბა ამ მდგომარეობაში როგორ დავარჩუნებდი. უნდა წამომეღო ბებოსთან და იქ ერთად მოგვეველო. წამოვიღე და გამრეწე, ხიდზედ სხვა ყმაწვილებთან ერთად გავერთე, ვუყურებდით როგორი ვეება ვერხვი მოჰქონდა მდინარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, თუ ხიდის ყურში გეეტევა? ამბობდა ერთი.

— დაუჭერავს რად გაუშვებენ, ერთი ურემი შეშა გამოვა, სთქვა მეორემ.

ვერხვი ჩაატარა მდინარემ. თვალი ველარ მომეშორებინა იმისთვის და თან ორი ხელით მაგრად მეჭირა თხაზედ გამობმული თოკი და ჩემი „მათა.“ ერთბაშად ვიღაცამ მძლავრად გამოჰკრა ხელი ჩემ საუნჯეს, დედოფალი დატრიალდა მაღლა ჰაერში, გადაეველო მოაჯირს და ჩაიყურყუმელავა ერთს წამზედ ტლაპოსავით ამღვრეულ მდინარეში, სადაც მისცურავდა ვეებერთელა ხეები. იმ წამსვე მომეხმა საშინელი ხარხარი და ვიცანი ქატო.

— შენ სწორედ ეშმაკი ხარ მაგ შენი მწვანე თვალებით. აი ამ წყალმა წაგიღოს ჯოჯოხეთში.

ნამდვილად გიჟსა ვგვანდი, როცა ველაპარაკებოდი ამისთანა ბოროტს სულს. მართლა რომ ღარა გამეგებოდა რა, ისე უნუგეშო და გონება დაფანტული ვიყავ. ბული ამიდუღდა, ქვითინი დავიწყე, მაგრამ ვერც ერთმა ცრემლმა ვერ შეიძლო ისე აება ჩემთვის თვალები, რომ ვერ გამერჩია საბრალო „მათა“, რომელსაც წყალი მიქანებდა. ის ხან ტალღებ ქვეშ მოჰყვებოდა, ხან ზემოდამ ამოსცურდებოდა მცოდნე მცურავისავით, ოითქოს უკანასკნელ ღონის-ძიებას ხმაროობდა თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასარჩენადაო. სანამ კი ვხედავდი საბრალოს ფეხი არ მომიცვლია და არც სხვის ნუგეშის-ცემა გამიგონია. მთლად ჩემი არსება იმ შავს წერტილში მდგომარეობდა, ასე მეგონა, რომ იმ შავი წერტილის დაკარგვით ჩემი სიცოცხლეც მოისპებოდა. იმდენი გონება კი შემრჩა, რომ თხა უნდა წამომეყვანა შინ და ვგრძნობდი, რომ იმ ღამეს ქატოს დანახვას ველარ გავუძლებდი. დავბინავე თუ არა თხა, აველ მაღლა დასაძინებლად. ბაბოს დანახვაზედ ცრემლი ველარ შევიმაგრე და მოვყევ ქვითინით ტირილს.

— რა დაგემართა, კიდევ ნაღველი რა გაგიჩნდა, საბრალო Mიკავ? შენი დედოფალი ხომ ნიაღვარმა არ გაგიფუჭა?

ისე გულ-ამომჯდარი ვტიროდი, რომ პასუხის მიცემა ვერ შევიძელ და მხოლოდ თავი გავუქნიე. ცოტა დაშავებას რას ვინაღვლიდი რომ სულ არ დამკარგვოდა ჩემი „მათა!“

— მაშ რა ამბავია, რადა სტირი გენაცვა?

და ბაბომ ალერსით ჩამიკრა გულში.

— „მათა“ მომიკვდა! წამოვიძახე ბოლოს, ცრემლები სულს მიგუბებდა და მეტის თქმა ველარ შევიძელ.

რამდენიმე ხანის შემდეგ იმდენად მოვიბრუნე გული, რომ შევიძელ ჩემის უბედურების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მბობა და თან ვჩქარობდი ქვეშაგებში ჩავწოლილვიყავ, რომ თვალი არ მომეკრა ჩემის მტანჯველის და გადაკიდებულის ქატოსათვის. ბაბო თავის ტკბილი ენით და გულ-კეთილობით ცდილობდა ჩემთვის ნუგეში ეცა.

— არა უშავს რა, მეუბნებოდა ჩუმად და თან თავი მოაყუდა ჩემ ბალიშს,—ყველა დედოფალი ხომ არ იცოცხლებს დიდხანს. დაიცა, სხვას ახეთს დედოფალს გაგიკეთებ, რომ ათასჯერ სჯობდეს „მათას.“

თუნდ ნამდვილი თამარ-მეფაც ყოფილიყო მეორედ გაკეთებული დედოფალი, მე ის აღარ მიამებოდა და არც ისე შევიყვარებდი; მხოლოდ „მათას“ ეკუთვნოდა ჩემგან ნაშრომი სასახლე. თვალწინ მიდგა იმასთან გატარებული ბედნიერი წამები, ჩვენი დაუსრულებელი ტიტინი, ერთმანერთის სიყვარული, ღამის გაშორების შემდეგ შეყრის დროს სიხარული და საღამოებით გამოსალმება თხის წამოყვანის დროს. ამ წარსული ბედნიერების ფიქრით გართობამ ცოტათი დამამშვიდა და ი'ე მწარედ აღარ ვსტიროდი, თანაც ძილი მომერია... მერე ისევ საშინელი სინამდვილით დილანდელი მომხდარი ამბავი მომელანდა: „ვნახე ჩემი „მათა,“ მაგრამ თავის სახლში მოსვენებული კი არა—დამხრჩვალი, მკვდარი. ვნახე, თუ როგორ ადიდებული წყალი რხევით მიატივტივებდა და მიაქანებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფსკრულისკენ და ხან სძირავდა შავ მორევში, სადაც უეჭველად ნიალვრით მოტანილი ნამსხვრევები ლუკმა-ლუკმათ აქცევდა იმას. მომეჩვენა როგორ სხვა და სხვა ცხოველებმა გაჯიჯგნეს ტანი ჩემის დედოფალისა ქატოს ამოსაკენკად.“ აშაზედ საშინლად აღელვებულმა გამოვიღვიძე; მთლად ვთრთოდი და ვტიროდი. საწყალ ბაბომ აღარ იცოდა, როგორ ეცა ნუგეში და როგორ დავემშვიდებინე. მაინც იმისმა ალერსმა ცოტა არ იყოს მანუგეშა და ერთი იმედიც უცბად გაჩნდა ჩემს გულში.

— მითხარ, ბაბო, განა არ შეიძლება, რომ მდინარემ სადმე ნაპირას გამორიყოს ჩემი ძვირფასი დედოფალი? ხვალ დილის მხე გააშრობს და წმინდა ქვიშაზედ სუფთად იდება. ძარცა შორს რომ წავიდე საძებნელად, იქნება ვიპოვო! ხომ გაგიგონია, რომ წყლის პირას ბევრჯელ კაი ნივთებიც უპოვიათ?

— ტყუილად იმედი ნუ გექნება, ჩემო Mიკავ, Yვირილა გიჟივით აჩქარებული მირბის დღეს და იმისი ტალღები „მათას“ ისე შორს წაიღებენ, რომ შენ ვერც კი წარმოიდგენ.

— განა Yვირილა სადამდის მიდის?

— რიონამდის.

— რიონი სადღა მიდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შავს ზღვაში შედის.

— ზღვაში?.. ეგ ერთი უშველებელი რამ იქნება... ჩემ ნაღველსავითა. ზღვაზედ არ იყო, რომ დაიღუპა ბიძა ჩემი პეტრე, მამის ჩემის ღვიძლი ძმა. საწყალს დიდს ხანს ელოდენ სახლში, მაგრამ დაბრუნებას ველარ ელირსა. ხშირად უთქვამთ ჩემთან იმის დაღუპვის ამბავი ზღვის საშინელის ღელვის დროს. ზღვამ თუკი ბიძა არ დამიბრუნა, აბა, რაღა იმედი უნდა მქონდეს, რომ პატარა დედოფალს დამიბრუნებს.

ჩემ ტირილს ბოლო არა ჰქონდა. ღამე დიდი ხანია დამდგარიყო, ვახშმის დროც გადასულიყო, მაგრამ არც მე და არც ბაბოს არ მოგვგონებია არც გაველილი ღამე და არც ვახშამი. უეცრად ჩვენი ოთახის კარები გაიღო და ბნელ კიბეზედ გამოჩნდა სანთლით ხელში ქატო.

— ვახშმად გიძახიან, უთხრა ბაბოს და ზიზღით გადმოგბღვერა, მერე მოგმიბრუნდა და მითხრა.

— არ გეყო, აქამდის სტირი!

— აეისულივით მოგმეჩვენა და გაქრა.

ბაბო წამოდგა ჩასასვლელად. მე გადავეხვიე და ვუთხარ წყნარის ხმით:

— არა, ბაბო, გენაცვა, ნულარ გამიკეთებ დედოფალს! ძალიან, ძალიან ძნელი ყოფილა იმისი დაკარგვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბა-ჯანას ჩუსტები.



ერთ ერთი ძალიან ღარიბი ბაბა-ჯანა და წყლის ზიდვით ირჩენდა თავსა.

ისეთს უცნაურს ჩუსტებს ხმაროობდა, რომ ქალაქში ამ ჩუსტების წყალობით გათქმული იყო.

მგონი ოც და ათი წელიწადი მეტი ეცვა ეს ჩუსტები; გაუცვდებოდა თუ არა ძირი, ან დაეგლიჯებოდა საპირე, ზემოდამ ახალს წააკერებდა და საკერებელს საკერებელზედ ზედი-ზედ აკონკებდა. ასე რომ სწორედ თითით საჩვენებელი გახდა ეს ჩუსტები; თითო მათგანი, მგონი, თითო ლიტრას აიწონდა. როდესაც გამოელეოდათ სასაცილო და გასართობი ქალაქის ბიჭებს, გადუდგებოდენ ბაბა-ჯანას გზაზედ და მასხაროობდენ იმის ჩუსტებზედ. ბაბა-ჯანას ფეხები სწორედ სპილოს ფეხებს მიუგვანდა.

ბევრჯელ მოიწადინა ფეხ-საცმლის გამოცვლა, მაგრამ მეტად ცოტა ფულს შოულობდა, თავისი ოჯახის სიბრალული კი ძალიან ჰქონდა. თავის პატარა ბავშვებს რომ მშიერებს და ძონძებში გახვეულებებს ხედავდა, ახალი ჩუსტების ყიდვის ხალისი სრულიად ეკარგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ სასახლეში ბაბა-ჯანას აუზები აავსებინეს წყლით და ფაშამ უბოძა ფულით ქისა, შიგ ათასი დინარი [1]) იდო.

თავის დღეში ბაბა-ჯანას სიზმარშიაც არ მოსჩვენებია ამოდენა ფული. სიხარულით ნამდვილს გიჟს დაემსგავსა და მინამ ამ ფულს შინ მიიტანდა, შეეიდა ერთ ფეხ-საცმლის დუქანში და თავისთვის იყიდა ერთი წყვილი კარგი და მაგარი ჩუსტები. ვერ მოითმინა, გზაზედვე ჩაიცვა ფეხზედ ახალი ჩუსტები, ძველები კი შეაგდო მაღლა კედელზედ და დაიყვირა:

— მშვიდობით, სიღარიბევ!

ის იყო ბაბა-ჯანა უამბებდა თავის ბაჭყალების დედას თავის მოულოდნელ გამდიდრებას, როდესაც ყადის [2]) გაჰოგზავნილი კაცები კომბლებით, ხმლებით და დამბაჩებით შეიარაღებულნი ცრისხანე სახით მოცვივდნენ მასთან.

ბაბა-ჯანას რადგან ლანაშაული არა ჰქონდა, თამამად და ზრდილობით დაუხვდა მსაჯულისაგან გამოგზავნილ კაცებს, მაგრამ იმათ ყური არ ათხოვეს არც იმის ცოლის ტირილს, არც პა-

---

[1]) დინარი — თათრული ძველი ფულია, ჩვენი ერთი ოქროს ფასია.

[2]) ყადი — მაჰმადიანთა მსაჯულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაწების ჩხავილს და გაკვებული წაიყვანეს ყადიხთან.

— შე საძაგელო, უთხრა მსაჯულმა, ამ პატიოსან კაცის სახლში რისთვის შესულხარ... საქურდლად, განა?

— ბატონო, არ ვიცი რას მიბრძანებთ და რას მაბრალებთ, უპასუხა ბაბა-ჯანამ.

— მართლ-მსაჯულო, სთქვა ამაზედ ბაბა-ჯანას მოჩივარმა, მდიდარმა კაცმა:—ეგ კაცი, უეჭველია, საქურდლად შემოპარულა ჩემ სახლში და რადკან ნაქურდლის წაღება შიშისაგან ვერ მოუსწერია, ჩუსტები ჩემ საწოლ ოთახში დარჩენია.

— სწორედ აგრე იქნებოდა, დაემოწმა მსაჯული.—ბაბა-ჯანავ, აღვიარე შენი დანაშაულობა!

ბაიგო თუ არა ბაბა-ჯანამ საჩივრის მიზეზი, გაეცინა და მსაჯულს უამბო, თუ როგორ იშოვა ფული და როგორ შეიძლო ძველი ჩუსტები გამოეცვალა.

— ერთ კედლის ძირას ვიყავი და ჩუსტები ავისროლე მაღლა. უთუოდ მოჩივრის ოთახში გადაცვინულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაჰმადის[1]) მორწმუნე, მე ვითხოვ მხოლოდ კანონის დაგვარად დასაჯოდ ეგ ავაზაკი. ჩვენ რჯულის წესდებაში როგორ სწერია? თქვა მოჩივარმა.

ყადი დაფიქრდა ცოტა ხანს.

— ყორანში ასე სწერია: ვინც შეიპაროს სხვის სახლში და იმის კვალი იპოვნონ, იმას ორმოც და ათი წკეპლა მიარტყანონ და ჯარიმად ორმოც და ათი დინარი გადაახდევინონო.

— ბატონო ყადი, შეჰყვირა ბაბა-ჯანამ, მე ფეხი ჩემს დღეშიაც არ შემიდგამ მაგ ღვთისნიერ კაცთან და მხოლოდ ჩუსტები არის პასუხის გამცემი მაგ დანაშაულობაში. მე მაგათ აქა ვტოვებ!

— შენ მასხარობასაც ბედავ და არ გვემორჩილები. შენ ეი, ბოქაულო, ეხლავე აღსრულებაში მოიყვანეთ ჩემი განჩინება!

ბაბა-ჯანა მაშინვე გააწვინეს ზურგზედ, ორივე ფეხები მაღლა აუშვირეს და ტირიფის ნედლი ტოტებით ორმოც და ათი წკეპლა ურტყეს ზედ ფეხის გულზედ საბრალო წყლის მზიდავს.

ჯარიმაც გადაახდევინეს და ისე გაისტუმრეს.

---

[1]) მაჰმადი იყო მოსლემინების წინასწარმეტყველი და იმის დაწერილ რჯულის წიგნს ჰქვიან ყ ო რ ა ნ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰა, დაიჭი შენი ჩუსტები, უთხრა ყადიმ, — და ამას იქით ვისიმე შეწუხება აღარ გაბედო.

ბაბა-ჯანა რის ვაი-ვაგლახით მივიდა შინ, თავს და ბედს იწყევლიდა და ფეხ-საცმელსაც სწყევლიდა.

ქუჩაში რომ მიდიოდა, თავისი ჩუსტები ჩაა-გდო ვილასაც სარდაფში.

— ესენი კი ვერ დამწამებენ, რომ საქურდლად შეველ მორთულს ოთახებში, სთქვა თავის თავად ბაბა-ჯანამ.

სარდაფში თურმე მინის ჭურჭლებით ქვირფა-სი ღვინოები იდგა, ზემოდამ რომ დაეცა მძიმე ჩუსტები, დაამტვრია ჭურჭელი და ღვინოები დაა-ქცია. ამითი დიდი ზარალი მიეცა პატრონსა.

პატრონმა მაშინვე იცნო წყლის მზიდველის ჩუსტები და უჩივლა ბაბა-ჯანას. ბოქაულებმა შეა-ბოჭინეს ბაბა-ჯანა და წარუდგინეს ყადის. მსაჯულ-მაც გადაუწვიტა მაშინდელივით ორმოც და ათი წკეპლა, ზარალის გადახდა და ჯარიმადაც ორმოც და ათი დინარის მიცემა მეღვინესათვის.

— აჰა, დიჭი შენი ჩუსტები, უთხრა ყადიმ და ამას იქით ვისიმე შეწუხება აღარ გაბედო.

ბაანჩხლებული ბაბა-ჯანა გაიქცა წყლისაკენ და ზღვაში ჩაყარა თავისი ფოსტლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი შე დაწყეველილო ჩუსტებო, ნეტამც არ იქნება რომ სამუდამოდ მოგიშორო თავიდგან, შეჰყვირა ბაბა-ჯანამ.

ჩუსტები, როგორც იცით, მძიმე იყო, მოედო მეთევზეს ბადეს და ბადე დაუხია. დაჭერილი თევზები სულ გაიფანტნენ, სანამ ბადეს ამოიღებდენ წყლიდამ.

მეთევზემ იცნო ბაბა-ჯანას ჩუსტები და უჩივლა, რომ ზარალი გადაახდევინონ.

მართლ მსაჯულმა მოსამართლემ, როგორც კანონი მოითხოვდა, ბაბა-ჯანას გადუწყვიტა ჯარიმაც, ზარალიც და ორმოც და ათი წკეპლაც.

ბაბა-ჯანას დაუბრუნეს თუ არა ჩუსტები, მაშინვე გააქანა და წყლის მილში ჩასტენა, თანაც ფიქრობდა, რომ ეხლა ეშმაკიც კი ვერ მიაგნებს და ვერც არავინ დამაბრალებს დანაშაულობასაო.

საბრალო ბაბა-ჯანა! უბედურებამ აქაც მიაგნო!

ჩუსტები ისეთი დიდი იყო, რომ საშინელება მოახდინა, მილში წყალი დაგუბდა, ჯირგნები ველარ ჩარეცხა, უწმინდურება შეგროვდა; ამის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქში დადგა მყრალი სუნი, ფაშამ ქალაქის უფროსი სამსახურიდამ დაითხოვა.

დიდი მუშაობა მოუნდათ, სანამ შეიტყობდენ ჯირგნის გაფუჭების მიზეზს. მიაგნეს თუ არა, ამოდენა ზარალის მამტანს, ბაბა-ჯანას ჩუსტებს, მაშინვე ეს კაცი სამართალში მისცეს.

შეუბრალებლად გაწკეპლეს ჩვენი ბაბა-ჯანა და იმ ნაჩუქარის ათასის დინარის დანარჩენი ძლივს ეყო ჯარიმას.

და როდესაც ყადიმ ჩააბარა ჩუსტები შემდეგი სიტყვებით:

— დაიჭი, ეს შენი ჩუსტები, და ამას იქით აღარ გაბედო ვისიმე შეწუხება.

ამაზედ ბაბა ჯანამ შეჰყვირა:

— მაჭმადის მორწმუნე, სამართლიანო მსაჯულო! არა თუ ხელს არ მოვკიდებ ამ დაწყეველილ ჩუსტებს, პირ იქით გთხოვთ საქეყნოდ გამოაცხადოთ, რომ მაგაზედ ხელი ამიღია. აღარა ვარ პასუხის გამცემი მაგის უწესო მოქმედებაში.

ყადიმ თხოვნა სამართლიანად იცნო.

შეადგინეს განაჩენი და ბაბა-ჯანას ჩუსტები ციხეში ჩამოჰკიდეს, სადაც დღესაც შეგიძლიანთ იმისი ნახვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ.შამ რო შეიტყო თავის ნაჩუქარი ფულის ამბავი, ბ.ბა-ჯანა მიიღო თავის სასახლეში და ერთი ორად დაასაჩუქრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზრ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში

ისყიდება

ან. თუმანიშვილის შედგენილი წიგნები.

1, რობინზონ კრუზო	30
2, ხატაური	10
3, მოლალური	20



ფასი სამი შაური.